

ვენეცია, 11.05 - 24.11.2019

ხელოვნების ბიენალე 2019

58-ე საერთაშორისო ხელოვნების გამოფენა

პრეზიდენტ პაოლო ბარატას თქმით „რალფ რუგოფის მთავარ კურატორად დანიშვნა, პირდაპირ პასუხობს ბიენალეს უმთავრეს მიზანს, გამოფენის ხარისხობრივ წარმოჩენაში მოახდინოს გათვლა ვიზიტორზე, ხელოვნებაზე და ხელოვანზე. გამოფენა პირდაპირ ნამუშევრით იზიდავს მაყურებელს, ისეთი ფორმით, რომ მეხსიერება, მოულოდნელობა, ახალი და განსხვავებული, შეძლებს მნახველთა გონების და ემოციების სტიმულირებას“

რალფ რუგოფი კი აცხადებს „მე აღფრთოვანებული ვარ ამ დანიშვნით. ვენეციის ბიენალე უძველესი და ყველაზე პრესტიჟული გამოფენაა მსოფლიოში, მე მოუთმენლად ველი ახალ გამოწვევებს“

58-ე საერთაშორისო ხელოვნების გამოფენა 2019 წლის 11 მაისიდან - 24 ნოემბრამდე განხორციელდება (წინასწარი გახსნა 8, 9 და 10 მაის ჩატარდება).

წარდგენა

რალფ რუგოფი

58-ე საერთაშორისო სახელოვნებო გამოფენის კურატორი

**“გეცხოვროთ საინტერესო დროს”
MAY YOU LIVE IN INTERESTING TIME**

1930-იანი წლების ბოლო გამოსვლაში, ბრიტანელმა პარლამენტარმა, ოსტინ ჩამბერლინმა ძველ ჩინურ წყევლაზე გააკეთა აქცენტი, რომელიც აზიაში მოღვაწე ბრიტანელი დიპლომატისგან ისწავლა - „გეცხოვროთ საინტერესო დროს“. „ორი აზრი არაა, რომ წყევლამ გვიწია“, დასძინა ჩამბერლინმა. „ერთი კრიზისიდან მეორეზე ვინაცვლებთ, ვიტანჯებით ერთი ჭირით და ერთმანეთს ვასწელებთ ამ შოკით“.

ეს შესავალი უცნაურად ნაცნობია დღეს, როცა ინფორმაციის ბრუნვის ციკლი კრიზისიდან კრიზისამდე უფრო მეტად იხლართება. ახლა, როცა ყალბი ინფორმაციის ციფრული გავრცელება და „ალტერნატიული ფაქტები“ პოლიტიკურ დისკურსს და ნდობას, რომელზეც ის მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პირდაპირ ჟანგავენ, ღირს მათი შეჩერება, რადგან საჭირო ხდება რეალობის გააზრებელი ალქმა. სწორედ მაშინ გამოდის, რომ არასდროს არსებულა ასეთი „უძველესი ჩინური წყევლა“, იმის მიუხედავად, რომ დასავლელი პოლიტიკოსები მათ

გამოსვლებში, უკვე ასი წელია, ამ წყევლას იყენებენ. იგი ჩანაცვლებული კულტურული რელიქვიაა და მისი ფიქტიური სტატუსიდან გამომდინარე, ჭეშმარიტი რიტორიკული ეფექტი აქვს ინფორმაციის საჯარო გაცვლის პროცესზე. ერთ დროს საეჭვო და მდიდარი მნიშვნელობის, ასეთი არამკაფიო არტეფაქტი, პოტენციურად აღმოსაჩენ მიმართულებებს გვთავაზობს, რომლებიც ღირს დღეს გამოსააშკარავებლად, განსაკუთრებით მაშინ, როცა გამოფხიზლებული „საინტერესო დრონი“ კვლავ ჩვენს გვერდით დგანან. აქედან გამომდინარე, ვენეციის 58-ე ბინალე ამ ყალბი „წყევლის“ მიხედვით იქნება დასათაურებული.

„გეცხოვროთ საინტერესო დროს“ უდაოდ მოიცავს ისეთ ხელოვნების ნიმუშებს, რომლებიც დღევანდელი ცხოვრების მერყევე ასპექტებს ეხმიანება, მათ შორის, სხვადასხვა საფრთხეებს ძირითად ტრადიციებთან მიმართებაში, ინსტიტუციებსა და „ომის შემდგომი წესრიგის“ ურთიერთობებში.

მაგრამ მოდით, აღვნიშნოთ, დასაბამიდან, ხელოვნება არ ავარჯიშებს საკუთარ ძალებს პოლიტიკაში. ხელოვნებას არ შეუძლია წარმოშოს ნაციონალისტური მოძრაობების აღზევება და ავტორიტარული მთავრობები მსოფლიოს სხვადასხვა წერტილებში, მაგალითად, ასევე არ შეუძლია შეცვალოს იძულებით გადაადგილებულ პირთა ტრაგიკული ბედი მსოფლიოს გარშემო (და ეს ციფრები მსოფლიო მოსახლეობის თითქმის ერთ პროცენტს შეადგენს).

თუმცა, არაპირდაპირი სტილით შესაძლოა, ხელოვნება გამოდგეს, როგორც სახელმძღვანელო, თუ როგორ ვიცხოვროთ და ვიფიქროთ „საინტერესო დროში“. 58-ე საერთაშორისო სახელოვნებო გამოფენას არ ექნება თემატიკა როგორც ასეთი, მაგრამ იგი ხაზს გაუსვამს ზოგად მიდგომებს ხელოვნების შექმნაში და ხელოვნების აღქმას სოციალურ ფუნქციაში, რომელიც მოიაზრებს როგორც სიამოვნების მიღებას, ასევე, კრიტიკულ აზროვნებას. გამოფენა ფოკუსირდება ხელოვნებათა იმ ნამუშევრებზე, რომლებიც გამოწვევას უცხადებენ ზოგადად გავრცელებული აზროვნების ტიპებს და თვალს გვიხელს ობიექტებისა და გამოსახულებების წაკითხვაზე, შესტებისა და სიტუაციების აღქმაზე. ასეთი ტიპის ხელოვნება საინტერესო და მრავალფუნქციური პერსპექტივების გამოცდილებით საზრდოობს: მხედველობაში იტევს თითქოს ურთიერთსაწინააღმდეგო და დაუკავშირებელ ცნებებს და მსოფლიოს განსხვავებულ აღქმას სთავაზობს. ხელოვნები, რომლებიც ამ მიმართულებით აზროვნებენ, ხშირად განსხვავებულ აზრს შესძენენ ეგრედწოდებულ ფაქტებს, კავშირების გაღრმავებით და ახალი შინაარსობრივი დატვირთვის მინიჭებით. გაცოცხლებული უსაზღვრო ინტერესითა და გამჭოლი გონებამახვილობით, მათი ნამუშევრები გვიბიძგებენ განსხვავებულად შევხედოთ ყველა კითხვადაუსმელ კატეგორიას, კონცეფციას და სუბიექტურობას. პროვოცირებენ, რათა მოვიაზროთ მრავალი ალტერნატივა და უცხო, სასარგებლო ხედვები, და განვჭვრიტოთ ის გზები, რომელშიც „წესრიგი“ მრავალფეროვანია და ეს მრავალფეროვნება ერთდროულადაა წარმოდგენილი.

„გეცხოვროთ საინტერესო დროს“ მნიშვნელოვნად გამოიყენებს ხელოვნების პოტენციალს როგორც მეთოდს, იმ სიღრმეებში ჩახედვისთვის, რომელიც ჯერ არ ვიცით, რაც საზღვრების, რადარს მიღმა, ან, სხვა ხელმიუწვდომელი მრავალი მიზეზით განპირობებულია. გამოფენა ხაზს გაუსვამს ნამუშევრებს, რომლებიც აღმოაჩენენ შიდასიმბიოზურ კავშირს მრავალი ფენომენის, რომელსაც გადააქვს მსგავსება ისეთი განცხადებული იდეის როგორც, ლეონარდო და ვინჩის, ასევე ვლადიმერ ილიჩის ძე, ლენინით, რომ ყველაფერი კავშირშია ყველაფერთან.

„გეცხოვროთ საინტერესო დროს“ იმ რწმენიდან ჩქეფს, რომელიც ფიქრობს, რომ საინტერესო ხელოვნება ქმნის ფორმებს, რომლის ცალკეული ხასიათი და შემოსაზღვრა ბადებს კითხვებს იმ გზებზე, რომლებშიც ჩვენ კულტურულ საზღვრებსა და ჩარჩოებს ვნიშნავთ. გონივრული სახელოვნებო აქტივიზმი მოიაზრებს ფორმების შექმნას, რომლებიც ყურადღებას ითხოვს იმაზე,

თუ რა ფორმები ინიღბება და რა ფუნქციები ივსება. გამოფენა მკაფიოდ წარმოაჩენს ხელოვნებას, რომელიც არსებობს კატეგორიებს შორის და რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს დასაბუთებას კატეგორიებად დაყოფის მსჯელობის ტიპის მიღმა.

„გეცხოვროთ საინტერსო დროს“ მიზნად ისახავს შეეგებოს პუბლიკას სიღრმისეული მონაწილეობის გაფართოებული გამოცდილებით, შთანთქმითა და შემოქმედებითი სწავლებით, რომელიც ხელოვნებით ხდება შესაძლებელი. ეს განაპირობებს ჩართულ მნახველებს სერიებიდან „მოულოდნელი შეხვედრები“, რაც, ძირითადად, სახალისოა და გულისხმობს იმას რომ, როდესაც ვთამაშობთ, გაუაზრებელი „ადამიანი“ ვხდებით. გამოფენის ფორმატი იძლევა გარკვეული ასპექტების დანახვის საშუალებას და ქმნის შესაძლებლობას დარწმუნდეს, რომ პუბლიკა თანაუგრძნობს წარმოდგენილი ხელოვნების ხასიათს.

და ბოლოს, **„გეცხოვროთ საინტერსო დროს“** ფორმულირდება იმ რწმენით, რომ ადამიანური ბედნიერება დამოკიდებულია არსობლივი დიალოგით, რადგან ჩვენ, როგორც „სოციალური ცხოველები“ მომართულნი ვართ შექმნისთვის და არსებობის მნიშვნელობის პოვნისთვის, ასევე, ერთმანეთთან დაკავშირებისთვის. ამ სინათლის ქვეშ, გამოფენის მიზანია იდეის ხაზგასმა, რომ ნამუშევრების მნიშვნელობა პრინციპულად არაა ჩადებული მათში, არამედ - დიალოგში, ჯერ შემქმნელსა და ნამუშევარში, შემდგომ კი ნამუშევარსა და აუდიტორიას შორის, ხოლო საბოლოოდ - სხვადასხვა საზოგადოებებში. საბოლოო ჯამში, ხელოვნების ბიენალე 2019 ისწრაფვის იმ იდეალისკენ, რომ რაც ყველაზე მნიშვნელოვანია გამოფენისთვის არ არის პირდაპირ გამოფენილი, მაგრამ დამსწრე აუდიტორიას შეუძლია გამოიყენოს გამოფენაზე მიღებული საკუთარი გამოცდილება, რომ დააკავშიროს ყოველდღიურ რეალობასთან გაფართოებული ხედვის არეალითა და ახალი ენერგიებით. გამოფენამ უნდა აუხილოს ხალხს თვალი ადრე გაუაზრებელ გზებზე სამყაროში არსებობაზე და მაშასადამე, შეცვალოს მათი ხედვა ამ სამყაროზე.

რალფ რუგოფი